



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2015 წლის 27 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შემოღებული იქნას „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის“ წოდება.

მუხლი 2. დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის“ წოდების მინიჭების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 3. დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N45 დადგენილება (სსმ, 59, 03/12/2010).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გიორგი ხელაძე